დანართი 1.

„დამტკიცებულია“
სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის
2021 წლის 23 ივლისის N 02-03/89
ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიია და რადიო

აცხადებს კონკურსს საბავშვო გადაცემების და საბავშვო თემატიკის სატელევიზიო პროგრამათაშორისის (არტი) შესყიდვაზე

1. **საბავშვო გადაცემები**

გადაცემათა რაოდენობა: 10(ათი) ერთეული.

გადაცემის ქრონომეტრაჟი: არანაკლება 05 წუთი და არაუმეტეს 10 წუთი.

ჟანრი: შემეცნებით-გასართობი;

მიზნობრივი აუდიტორია: +6 წელი

მოწოდებული გადაცემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- გადაცემ(ებ)ის თემატიკა შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით დადგენილ/განსაზღვრულ სტანდარტებთან; გადაცემა უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს;
- მოწოდებული გადაცემა უნდა იყოს შეფუთული სრულად. შეფუთვა წინასწარ უნდა შეთანხმდეს მიმღებთან.
- ბავშვის ესთეთიკური შეგრძნების განვითარება, შემოქმედებითი აღქმის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- შინაარსის მრავალფეროვნება (საინტერესო თემატიკა, დრამატურგიული განვითარების ხაზი, ზუსტი სურათის წარმოდგენა);
- რეჟისორული ხედვა - იდეის ორიგინალურობა, ხარისხიანი მონტაჟი; კადრის მხატვრული ღირებულება; კრეატიულობა;
- მოწოდებული გადაცემა უნდა იყოს შექმნილი კონკრეტული კონკურსისთვის
- ფორმატი - Full HD 1920x1080 i 25 fps.Mpeg2;

დაფინანსების ოდენობა: 10 000 (ათი ათასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის/გადასახდელის ჩათვლით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად.

კონკურსში გამარჯვებული ხელშეკრულების გაფორმებამდე ვალდებულია წარმოადგინოს დაფინანსების ოდენობის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. (იხ. „ შენიშვნა“)

წინმსწრები (საავანსო) ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

2. **საბავშვო თემატიკის სატელევიზიო პროგრამათაშორისი (არტი)**

გადაცემათა რაოდენობა: 20(ოცი) ერთეული.

გადაცემის ქრონომეტრაჟი: არანაკლება 02 წუთი და არაუმეტეს 03 წუთი.

ჟანრი: შემეცნებით-ინფორმაციული;

მიზნობრივი აუდიტორია: +6 წელი

მოწოდებული სატელევიზიო პროგრამათაშორისი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- სატელევიზიო პროგრამათაშორისის თემატიკა შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსით დადგენილ/განსაზღვრულ სტანდარტებთან; გადაცემა უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს;
- მოწოდებული პროგრამათაშორისი უნდა იყოს შეფუთული სრულად. შეფუთვა წინასწარ უნდა შეთანხმდეს მიმღებთან.
- სანახაობრივი, საინტერესო თემატიკა, აქტუალური;
- დინამიური, ლაკონური;
- ხარისხიანი მონტაჟი, კადრის მხატვრული ღირებულება
- მოწოდებული პროგრამათაშორისი უნდა იყოს შექმნილი კონკრეტული კონკურსისთვის
- ფორმატი - Full HD 1920x1080 i 25 fps.Mpeg2;

დაფინანსების ოდენობა: 12 000 (თორმეტი ათასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის/გადასახდელის ჩათვლით. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად.

კონკურსში გამარჯვებული ხელშეკრულების გაფორმებამდე ვალდებულია წარმოადგინოს დაფინანსების ოდენობის შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. (იხ. „ შენიშვნა“)

წინმსწრები (საავანსო) ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე.

ბ) მოსამზადებელი გადაცემების/სატელევიზიო პრგორამათაშორისის საპილოტე ვერსია.

გ) მოსამზადებელი გადაცემების/სატელევიზიო პრგორამათაშორისის კონცეფცია.

დ) მოსამზადებელი გადაცემების/სატელევიზიო პრგორამათაშორისის სავარაუდო თემების აღწერა - არანაკლებ 3 თემა.

ე) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

მოწოდებულ პროდუქტზე განსაკუთრებული საავტორო უფლებები ეკუთვნის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას და რადიოს“.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

განცხადებების მიღების დაწყების თარიღი : 23 ივლისი 2021 წ.

განცხადებების მიღების დასრულების თარიღი: 08 აგვისტო 2021წ.

პროექტის განხორციელების სავარაუდო პერიოდი: 08/2021 –11/2021

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) განაცხადის წარდგენა;

გ) განაცხადის დასაშვებობის შემოწმება;

დ) კომისიის მიერ პროექტების შეფასება პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და გამარჯვებული პროექტის გამოვლენა;

ე) ხელშეკრულების გაფორმება

საპილოტე ვერსია, გადაცემის კონცეპცია, სავარაუდო თემების აღწერა, კომისიის წევრების მიერ შეფასდება ქულათა სისტემით. მინიმალური ქულა - 0, მაქსიმალური ქულა - 10. ქულების დაანგარიშება მოხდება საშუალო არითმეტიკულით და გამარჯვებულად გამოვლინდება კონკურსანტი, რომელიც დააგროვებს სხვა კონკურსანტზე მეტ ქულას, მაგრამ არანაკლებ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის 70 %-ისა.

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზე დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე, ან მაუწყებლის ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.
3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე.

შენიშვნა: კონკურსთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის დებულებით.